ოქმი:**ო08. 3724113001**
თარიღი:**22/04/2024**

ოქმი № 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2024 წელი, 18 აპრილი
ქ.ოზურგეთი
12.00 -12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ბ. კილაძე, პ. სალუქვაძე, ალ.ბურჭულაძე, დ. დარჩია, პ. კიღურაძე, ნ. მახარაძე, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა,

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ ესაუბრა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შესრულების ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-მუხლის შესაბამისად და დადგენილ ვადებში, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ისაუბრა სარეზერვო ფონდის ხარჯვაზე, 350 ათასი ლარიდან გახარჯულია 236 ათასი ლარი. ისაუბრა საანგარიშო წლის ბოლოსათვის არსებულ ნაშთებზეც, კერძოდ 2024 წლის 1 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 10933 ათასი ლარი, რომელიც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ნაკლებია მაგრამ მაინც საყურადღებოა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, აღნიშნა, რომ კომისიამ წლის დასაწყისში შეიმუშავა და საკრებულოს ბიურომ დაამტკიცა წლიური სამუშაო გეგმა, მაგრამ, USID -ის რეკომენდაციების გათვალისწინებით, აუცილებელი გახდა გეგმის ხელახალი გადამუშავება და ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების უფრო დაწვრილებით განსაზღვრა, შემდეგ კომისიის წევრებს გააცნო კონკრეტული სამოქმედო გეგმა, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდა USID -ის მხარდაჭერითა და დახმარებით. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს სამოქმედო გეგმის ბიუროს სხდომაზე წარდგენას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N1,2 საკითხები წარდგენილ იქნას საკრებულოს და ბიუროს სხდომაზე განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი